

საქართველოს კანონი

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24, 02.07.2007, მუხ. 219) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-13 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულება ხდება ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ჯარიმის გადახდის იძულებით აღსასრულებლად მიქცევას საჯარიმო ქვითრის საფუძველზე ახორციელებს შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფროსი.

5. ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულებას ახორციელებს აღმასრულებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

2. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.“

3. მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მსჯავრდებულის პირად საქმეში არსებული მასალების გაცნობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

4. 45-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი რეჟიმის დარღვევის რაოდენობათა ათვლა დაიწყოს 2010 წლის პირველი იანვრიდან.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი